ინკრუსტაციის თავისებური რეპრეზენტირების შემთხვევა შუა ბრინჯაოს ხანის თრიალეთის კულტურის ყელსაბამის აქატის გულსაკიდზე

CASE OF INCRUSTATION'S PECULIAR REPRESENTATION ON THE AGATE PENDANT OF THE MIDDLE BRONZE AGE TRIALETI CULTURE

მარინე ფუთურიძე

Marina Puturidze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ინკრუსტაცია, თრიალეთის კულტურა, ყელსაბამი
Keywords: Incrustation, Trialeti culture, necklace

ძვ.წ. 21 საუკუნეში სამხრეთ კავკასიის სივრცეში გამოჩნდა წინამორბედისაგან განსხვავებული და ახალი სოციო-კულტურული ერთობა – თრიალეთის ბრწყინვალე ყორღნების კულტურა. აღსანიშნავია, რომ ის მკაფიო გარდატეხებით ხასიათდება როგორ სოციალურ, სავაჭრო-ეკონომიკურ და კავშირურთიერთობათა ახალი ვექტორების დამყარებისა და ინტერესების, ისე კულტურაში მომხდარი არსებითი ხასიათის ცვლილებების მხრივაც. ეს სიახლეები მკაფიოდ ვლინდება მატერიალური კულტურისა და ყოფის სხვადასხვა ასპექტების მხრივ. არაერთ სხვა თავისებურებასთან ერთად, ამ კულტურის ერთ-ერთი დამახასითებელი ნიშანია ოქრომჭედლობის დარგის არნახული დაწინაურება, სადაც ერთნაირად უხვად არის წარმოდგენილი ტორევტიკისა და სამკაულის კომპლექსები. ამჯერად თრიალეთური სამკაულის ერთი გამორჩეული ნიმუშის – ინკრუსტირებულ ოქროს ჩარჩოში ჩასმული აქატი კულონის საგანგებო შესწავლას დავუთმობთ ყურადღებას.

In the 21st century BC, the Trialeti Culture of Brilliant Kurgans as the new socio-cultural unit appeared in the South Caucasian region. It is remarkable that the mentioned Middle Bronze Age culture was characterized by an essential change as in trading-economic and social fields and establishing of new vectors and interests of international connections, as well in the cultural sphere. These changes were demonstrated by the numerous advances of material culture and several different aspects of life. Besides various peculiarities, one of the most characteristic features of the Trialeti culture is an unbelievably high level of achievements of the goldsmithery. This field of high artistic craft is widely represented by the numerous items of jewellery and toreutics. Currently, we would like to present the paper devoted to one – the agate pendant.